ფოტოკონკურსში მონაწილეობის წესები და პირობები:

კონკურსის მიზანი ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფითი შედეგების თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 14-დან 24 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს;
- საკონკურსო ნამუშევრები შინაარსობრივად უნდა პასუხობდეს კონკურის თემას;
- ფოტოს გადაღება შესაძლებელია ნებისმიერი მოწყობილობით (მობილური ტელეფონით, ფოტოაპარატით, ვიდეოკამერით და სხვა);
- საკონკურსო ფოტოები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე - adamianisuflebebi@mia.gov.ge;
- გამოგზავნილ წერილში აუცილებელია, მიუთითოთ: თქვენი სახელი და გვარი; მობილური ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი, ფოტოს სათაური და მისი აღწერა;
- საკონკურსო ნამუშევარი - მათი მიღების ვადის დასრულების შემდგომ შეირჩევა სპეციალურად შერჩეული საკონკურსო ჟიურის მიერ;
- არ განიხილება ფოტო, რომელიც კონკურსის თემატიკასთან შეუსაბამოა. ასევე, უცენზურო, დისკრიმინაციული, ძალადობის შემცველი საკონკურსო ნამუშევრები, ასევე, ნამუშევრები, რომლებიც არ შეესაბამება ზოგად მორალურ და ეთიკურ პრინციპებს, არ მიიღება;
- თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ფოტო;
- საკონკურსო ფოტო უნდა იყოს კონკურსანტის გადაღებული/მომზადებული. ინტერნეტში მოძიებული ფოტო კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს;
- წარმოდგენილ ფოტოზე საავტორო უფლებები უნდა ეკუთვნოდეს კონკურსანტს. შინაგან საქმეთა სამინისტრო არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა წამოაყენონ რაიმე სახის (ქონებრივ, არაქონებრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული) პრეტენზია გამოქვეყნებულ ფოტოსთან დაკავშირებით;
- კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებასა და კამპანიაში;
- კონკურსანტი, კონკურსში მონაწილეობის მიღებით, გამოხატავს თანხმობას და სამინისტროს გადასცემს უფლებას, მის მიერ გადმოგზავნილი ფოტო შემდგომში გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ;
- გაცნობებთ, რომ საკონკურსო ნამუშევრის გამოგზავნით, კონკურსანტი ავტომატურად ეთანხმება კონკურსის პირობებს;

- ფოტოკონკურსი დაიწყება 2021 წლის 11 ივნისს და გაგრძელდება 2021 წლის 10 ივლისის ჩათვლით;
- სპეციალურად შერჩეული ჟიური გამარჯვებულებს გამოავლენს 24 ივლისს, რომელთა დაჯილდოება მოხდება კამპანიის - #ნუწაართმევბავშვობას დასკვნით ღონისძიებაზე;
- კონკურსის გამარჯვებული ფოტოების განთავსება მოხდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის Facebook გვერდზე.

ასევე, აღნიშნული ფოტოების გამოფენა მოეწყობა კამპანიის დასკვნით ღონისძიებაზე.

კონკურსთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე 599 77 18 94 ან მოგვწერეთ ელ. ფოსტაზე: adamianisuflebebi@mia.gov.ge

კონკურსში მონაწილეები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- რამდენად პასუხობს ნამუშევარი კონკურსის თემატიკას;
- რამდენად ორიგინალური და შემოქმედებითია ნაშრომი;

კონკურსის სამივე გამარჯვებულს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ფასიანი საჩუქარი.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.